შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 548
20/03/2019

548-1-2-201903201238

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს

✓ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

თბილისის ღია უნივერსიტეტს

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთან და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით გამოაცხადა სტაჟირების პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამით) მოსარგებლე პირებისათვის. სტაჟირების პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ კონკურსის საფუძველზე ჩაერთონ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სტაჟიორების შერჩევას შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით. წარმატებული აპლიკანტები 1-დან 6 თვემდე სტაჟირებას გაივლიან სახელმწიფო უწყებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

მოგმართავთ თხოვნით, სტუდენტების ინფორმირების მიზნით სტაჟირების პროგრამის გამოცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია განათავსოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.
(იხ. ბმულები: http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=95 სოციალური ქსელი:
https://www.facebook.com/SMRCEgeorgia/photos/a.240150132706853/2085468381508343/?type=3&theater).

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან საკონტაქტო პირად წარმოგიდგენთ სამოქალაქო თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ქალბატონ ელისო ლომიძეს (მობ. 596 20103; ელ-ფოსტა: elisolomidze@yahoo.com).

პატივისცემით,

ნინო ნოზაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი